ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №62

ქ. ქობულეთი. „21" მარტი 2014 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა (I თავი, მე-3 მუხლი, I პუნქტი, "ს" ქვეპუნქტი) შესაბამისად, ერთის მხრივ, ქობულეთის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ელგუჯა ბაგრატიონის სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, შპს „თვითმმართველობის მაცნე"-ს გაზეთის რედაქცია, წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო კალანდაძის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე "მიმწოდებელი" თანახმაა მიაწოდოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გაზეთი "თვითმმართველობის მაცნე" და გაუწიოს საინფორმაციო მომსახურება (შემდგომში მომსახურება), ხოლო "შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას მიიღოს გაწეული მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით ***(22200000).***

1.2. მომსახურების გაწევის ვადაა 2014 წლის 31 მაისის ჩათვლით.

II. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს (ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფისის მუხლი)

2.2. "შემსყიდველი" ანგარიშსწორებას ახორციელებს "მიმწოდებლის" მიერ გაზეთში განთავსებულ ინფორმაციაზე მიღება-ჩაბარების აქტის და ინვოისის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2.3. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

2.4. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

III. მომსახურების მიღება-ჩაბარება

3.1. მომსახურების მიღება-ჩაბარება ხორციელდება მხარეების მიერ გაფორმებული გაზეთ "თვითმმართველობის მაცნე"-ში განთავსებულ ინფორმაციაზე მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

3.2. "შემსყიდველი" ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს "მიმწოდებელს" არასათანადოდ მომსახურების გაწევის შესახებ მიზეზის მითითებით.

3.3. მომსახურების მიღება-ჩაბარებას ახორციელებს "შემსყიდველის" მხრიდან, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მთავარი სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში.

IV. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში გაუწიოს მომსახურება შემსყიდველს;

4.2. "შემსყიდველი" ვალდებულია:

1) შეუფერხებლად აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" გაწეული მომსახურებისათვის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

V. პასუხისმგებლობა.

5.1. "მიმწოდებლის" მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან "შემსყიდველი"-ს მიერ მიცემული შენიშვნების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, "შემსყიდველს" შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, ხოლო "მიმწოდებელი" ვალდებულია აუნაზღაუროს "შემსყიდველს" მიყენებული ზარალის საფასური, მოთხოვნიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

VI. ფორს-მაჟორი.

6.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
6.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბაჟო ტარიფო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
6.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

VII.ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2014 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

VIII დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1. ორივე მხარე ვალდებულია წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა გადაწყვიტონ ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
8.2. თუ მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" ვერ შეძლებს მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

IX. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

9.1. "შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, "მიმწოდებლისათვის" ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ "მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან "შემსყიდველი"-ს მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გაუწიოს მომსახურება;
ბ) თუ "მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.
9.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;
9.3. "შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ "შემსყიდველი"-სათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.
9.4. ამ მუხლის 9.3. პუნქტში მითითებულ შემთხვევებში "შემსყიდველი" ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

X. სხვა პირობები

10.1. ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
10.2. არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
10.3.მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით.

საქართველო 247001890

10.4. ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე, ცნობების განმარტებისას ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მიმოწერა შესრულებული უნდა იქნას ქართულ ენაზე.
10.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.
10.6. თუ მომსახურების გაწევის პროცესში გამოვლინდა ცალკეული გადაწყვეტილების შეცვლის ან შევსების აუცილებლობა, პირველადი პირობების განსხვავებით, "შემსყიდველი"-ს მოთხოვნით ეს ცვლილებები აისახება ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანით, მათი ვადებისა და ღირებულების ჩვენებით;

XI. "შემსყიდველი"-ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

11.1 "შემსყიდველი"-ს მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141;
11.2 "შემსყიდველი"-ს საბანკო რეკვიზიტები: სს "ლიბერთი ბანკი, ბანკის კოდი **LBRTGE22,** ა/ა **GE56LBO120113125552000,** საიდენტიფიკაციო კოდი **247001890;**
11.3 "შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი

XII. "მიმწოდებელი"-ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

12.1 "მიმწოდებელი"-ს მისამართი: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის №31
12.2. "მიმწოდებელი"-ს საბანკო რეკვიზიტები: სს "საქართველოს ბანკი" ბ/კ **BAGAGE22,** ა/ა **GE35BG0000000783135500** საიდენ. №-443567828;
12.3. "მიმწოდებელი" – შპს "თვითმმართველობის მაცნე"

"შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი,

საკრებულოს თავმჯდომარე ელგუჯა ბაგრატიონი

"მიმწოდებელი" – შპს "თვითმმართველობის მაცნე"

დირექტორი ნინო კალანდაძე

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ქობულეთი

21.03.2014 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ, გაზეთი „თვითმართველობის მაცნე" და საინფორმაციო მომსახურების შესყიდვის განხორციელებაში (კოდი 22200000-გაზეთები, სამეცნიერო ჟურნალები, პერიოდიკა და ჟურნალები), შპს „თვითმართველობის მაცნე"-ს მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ქობულეთის მუნიციპალიტეტი

საკრებულოს თავმჯდომარე ელგუჯა ბაგრატიონი